ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 მაისის

სხდომის

## დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს შორის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სალოტბარო სკოლის ჩამოსაყალიბებლად მემორანდუმის გასაფორმებლად თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ირინე ჩხეიძე

თანამომსხ: გიორგი დონაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N12 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: დავით კიკნაძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N13 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N14 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს:ვარლამ ჭიპაშვილი

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N15 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასრტუქტურის საკითხების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ " ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მალხაზ ფხალაძე

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N16 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: გივი თხელიძე

9. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს #25 დადგენილებაში 'ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ"ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილ

10. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის N4 დადგენილებაში „დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

11. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩაზე (რიყე) მდებარე 1455 კვმ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.01.31.369.) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 06 მაისის სხდომის

ოქმი N 8

დაბა ხარაგაული

9 აპრილის . #15 2019 წლის 06 მაისი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, დავით მაღლაფერიძე, აკაკი მაჭავარიანი, ქეთევან ზუმბაძე, მიხეილ ჭიპაშვილი, თორნიკე ავალიშვილი სულ საკრებულოს 30 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ჯაბა ზერაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

თემურ თაბუკაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი,

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

ირინა ჩხეიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ.შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

ლ.გოგოლაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის" დირექტორი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი,

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 30 წევრი

მომხრე 30

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი მიღებული იქნა ( თან ერთვის).

# დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

**მომხს: ვლადიმერ გელაშვილი**

**2.** საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს შორის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სალოტბარო სკოლის ჩამოსაყალიბებლად მემორანდუმის გასაფორმებლად თანხმობის მიცემის შესახებ

**მომხს: ირინე ჩხეიძე**

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

**მომხს: ვლადიმერ გელაშვილი**

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N12 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: დავით კიკნაძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N13 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N14 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს:ვარლამ ჭიპაშვილი

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N15 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ “ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მალხაზ ფხალაძე

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N16 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: გივი თხელიძე

9. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს #25 დადგენილებაში ’ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

10. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის N4 დადგენილებაში „დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

11. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩაზე (რიყე) მდებარე 1455 კვმ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.01.31.369.) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ. თან ერთვის).

**აზრი გამოთქვეს:**

**ვ. ჭიპაშვილმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომაზე საკითხის განხილვის დროს ჩვენ მოვითხოვეთ, რომ სამსახურებისაგან მოწოდებული ყოფილიყო დეტალური ინფორმაცია საბიუჯეტო თანხების ხარჯვის შესახებ პირველი კვარტლის მდგომარეობით, რაც სამწუხაროდ არ მოხდა გარდა ერთი -ჯანდაცვის სამსახურისა მოთხოვნილი ინფორმაცია არ მიგვიღია. მე მიმაჩნია, როდესაც ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი იხილება უნდა ესწრებოდეს მერი და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები. ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულებას საერთო ჯამში 0.5. მლნ. ლარი დააკლდა თუმცა ითქვა, რომ სხვა შემოსავლების გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე პრობლემა არ იქნება. ხარჯვის ნაწილში შესრულების მაჩვენებელი იმდენად მცირეა, რომ კითხვები ჩნდება მაგ. 80 000ლარია გამოყოფილი წყალზე ათვისება არ არის, პრობლემებია გზების ნაწილში, ბარების გაზიფიცირების საკითხში თუმცა მივიღეთ დაპირება ბაღების გაერთიანებიდან, რომ წლის ბოლოსათვის ელოდებიან პროგრესს ამ მიმართულებით. მაგალითად 6700 ლარია გამოყოფილი ახალგაზრდულ პროგრამებზე, რომელსაც ძირითადად კულტურის ა.ა.ი.პ. ხარჯავენ , უნდა გადავიდეთ კონკურსის წესით ღონისძიებების შერჩევაზე, უნდა დაინერგოს ტრადიცია თითოეულ ღონისძიებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე მხარჯავი დაწესებულებებისაგან. სამსახურებმა უნდა ითანამშრომლონ ჩვენთან რასაც არ აკეთებენ.

**მ. ფხალაძემ** აღნიშნა, რომ ინფორმაცია განიხილა კომისიაზე, სამწუხაროდ აღსანიშნავი არაფერია, 31 პროექტიდან მხოლოდ 7 დასრულებული, მძიმე სიტუაციაა გზებზე, ხიდ - ბოგირებზე, წყალზე არაფერია გაკეთებული, ჩვენ შენიშვნებს მერიაში პიროვნულ დაპირისპირებად განიხილავენ, სამწუხაროდ დღემდე ვერ ხერხდება, რომ მერიის წარმომადგენლები მოვიდნენ, ერთად დავსხდეთ და განვიხილოთ პრობლემები, მე არ ვიცი ამ ჩიხური მდგომარეობიდან რა გამოგვიყვანს.

**დ. კიკნაძემ** აღნიშნა, რომ ბორის ბაღი ამოვარდნილია კონიუნქტურიდან, ხშირ შემთხვევაში არის ხოლმე, რომ ა.ა.ი.პ-ი ვერ ითვალისწინებენ რაღაც ხარჯებს მოსალოდნელი ღონისძიებების დასაფინანსებლად თუმცა, როდესაც საქმე ბავშვებს ეხება მე ხარჯის ზრდას მხარს დაუჭერ.

**თ. ფცქიალაძემ** აღნიშნა, რომ ყველა იმაზე, რაც ხდება ხარაგაულში ყველაფერზე არის პასუხისმგებელი საკრებულო, უნდა მიიღოთ მეტი დამოუკიდებლობა.

**თ. ავალიშვილმა** აღნიშნა, რომ 2017 წლიდან პროექტები არ სრულდება რა არის ეს თუ არა ის, რომ მერია კორუფციაშია ჩაფლული მან დასვა წინადადება მერის წარმომადგენლის სხდომაზე მოყვანის შესახებ, რათა გაეცათ პასუხი შეუსრულებელი პროექტების შესახებ.

სხდომაზე გამოცხადდა მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი **თემურ თაბუკაშვილი,** რომელმაც პასუხი გასცა საკრებულოს ცალკეულ წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ კერძოდ საკრებულოს წევრები მისგან მოითხოვდნენ პასუხებს დაუსრულებელ, შეჩერებულ და მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით, რომელთა ვადა დიდი ხანია ამოიწურა.

**ლ. აბაშიძემ** დასვა შეკითხვა ბჟინევის გზასთან დაკავშირებით

**მ. ფხალაძემ** აღნიშნა, რომ 2019 წლის პირველ კვარტალში რომ იყო გამოყოფილი 1 მლნ. ლარზე მეტი და შესრულება ძალზე მცირეა თქვენ როგორც დარგის კურატორს ამ თემაზე თუ გაქვთ საუბარი მერიაში და გამოსავლის ძიება თუ ხდება .

**ვ. ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ წყლის კუთხით ერთი თეთრი არ არის დახარჯული, ხიდ - ბოგირებზე, სანიაღვრე არხებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხების გაცემა არ მომხდარა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ბაღების გაზიფიცირება, გარე განათება რა ხდება რაიმე სამართლებრივი შეუსაბამობაა? მაგალითად ჩვენმა ა.ა.ი.პ. რომ გააკეთოს ღამის განათება

**დ. ხაჩიძემ** აღნიშნა, რომ ნადაბურში ხიდის მშენებლობა შეჩერდა რა ხდება.

**მ. ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ ფარცხნალში პროექტების განხორციელება ნორმალურად მიმდინარეობს და არც მერიასთან თანამშრომლობის პრობლემა არ მაქვს..

**რ. გიორგაძემ** აღნიშნა, რომ ძალიან ცუდი მდგომარეობაა სარგვეშში, ყველა ვადა ამოიწურა, მშენებელს ვერ ვპოულობ იქნებ მასწავლოთ როგორ მოვიქცე.

**თ. თაბუკაშვილმა** აღნიშნა, რომ 2018 წლის ყველა პროექტი, რომელიც 2019 წელში გადმოვიდა დასრულდება მიმდინარე წლის სექტემბერ- ოქტომბერში, წაქვის ხიდთან დაკავშირებით გეოლოგებზე გვაქვს დავალება გაცემული. ღამის განათება, რადგან ადგილობრივი პროექტი არ არის ვერ ვაკეთებ. ახლი თანხების პროექტები დღეს უნდა მივიღოთ ,მან ასევე პასუხები გასცა დასმულ სხვა შეკითხვებსაც.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის ცნობად მირების თაობაზე.

**საკრებულომ გადაწყვიტა:** ინფორმაცია მიღებული იქნეს ცნობად (განკარგულება თან ერთვის)

**მოისმინეს:.** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური უფროსის ირინე ჩხეიძის ინფორმაცია საკითხზე „საქართველოს ფოლკლორის [illegible] ცენტრსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს შორის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სალოტბარო სკოლის ჩამოსაყალიბებლად მემორანდუმის გასაფორმებლად თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის)

**აზრი გამოთქვეს:**

**დავით კიკნაძემ,** აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, მოწვეული იყო ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის იურისტი, რომელმაც უპასუხა ჩვენს შეკითხვებს, აღმოჩნდა, რომ გარკვეული კორექტივებია შესატანი მემორანდუმის ტექსტში, თუმცა დრეს ირკვევა, რომ იცვლება შტატები, ამოდის ქორეოგრაფი, დამლაგებელი. რეგენტი, რომელიც მისი განმარტებით უნდა დაფინანსებულიყო ცენტრის მიერ აღარ ხდება დაფინანსება, იცვლება ბინის საკითხი მე სალოტბარო სკოლის შექმნას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერ მხარს თუ იქ ა.ა.ი.პ - ში დასაქმებულ ადამიანების დასაქმებას საფრთხე არ შეექმნება.

**ნ. მაჭავარიანმა** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხარაგაულის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა განმარტა, რომ დამლაგებლის პრობლემა უკვე მოგვარებულია, რაც შეეხება ქორეოგრაფს მისი დაფინანსების საკითხიც გადაწყვეტილია გავლილია მერთან დაფინანსების საკითხი და იგი დარჩება ჩვენთან.

**გ. თავზარაშვილმა** აღნიშნა, რომ კარგად დაუკვირდეთ, ერთ დრეში შეცვალა მისი აზრი და წლის ბოლომდე რა იქნება ვინ იცის.

**მ. ფხალაძემ** აღნიშნა, რომ 4 შტატი იყო გათვალისწინებული 2 ამოიღო რა გარანტია გვაქვს, რომ კიდევ სხვა არ ამოვარდება.

**ვ. ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ მემორანდუმში კონკრეტულად უნდა ყოფილიყო გაწერილი უფლება მოვალეობები, ბიუჯეტიდან გასაცემი თანხის სამართლებრივი მხარე, რომელ ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას ამ სკოლის მოსწავლეები ხომ არ აჯობებდა 2020 წლის ბიუჯეტში გვემსჯელა ამ საკითხზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი მერისთვის მემორანდუმის გასაფორმებლად თანხმობის მიცემის თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 25

წინააღმდეგი 2

თავი შეიკავა 1

**საკრებულომ გადაწყვიტა:** განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

**აზრი გამოთქვეს:**

**ვ. ჭიპაშვილმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, ჩვენ გამოგვესოვეთ დოკუმენტაცია სტიქიასთან დაკავშირებით და გავეცანით, მუზეუმის 10 000 ლართან დაკავშირებით იყო საუბარი კომისიაზე და აღინიშნა, რომ პრიორიტეტულობა უნდა იყოს განსაზღვრული მაგ. ბიუსტები ვისია, რამდენია, რა ფასია უნდა ვიცოდეთ, 5000 ლარის დამატების საკითხი ანსამბლ "უბისისათვის" მშობლების მოთხოვნაზე ა. ა. ი. პი-ს ხელმძღვანელს ნ. მაჭავარიანს ქონდა დავალება მიცემული წარმოედგინა დოკუმენტაცია საჭირო ხარჯებთან დაკავშირებით თუმცა მან გაგვცა პასუხი, ხარჯი გადაერიცხება იმ რაოდენობით რისი დოუმენტი იქნება წარმოდგენილი.

**დ. კიკნაძემ** აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის კომისიის სხდომაზე მოწვეული იყო მემორიალთან დაკავშირებით ინიციატორი მამუკა ცუცქირიძე, რომელმაც მოგვცა დეტალური განმარტება და მხარს ჭერთ, რაც შეეხება ანსამბლისათვის თანხის გაორმაგებას ჩვენ ვეთანხმებით.

**მ. ბარბაქაძემ** ა.ა.ი.პ.-ის დირექტორს ნ. მაჭავარიანს მიმართა თვითონ გამოენახა ხარჯებიდან 5000 ლარი და შემდეგ მოეთხოვა შევსება.
**ნ. მაჭავარიანმა** უპასუხა, რომ მას გაწერილი აქვს თანხები გარკვეული პროექტების განსახორციელებლად და მის შეცვლას არ გეგმავს.
**ქ. ზუმბაძემ** ისტორიული მუზეუმისათვის 10 1000 ლარის გამოყოფასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რა აუცილებელია ბიუსტების სეძენა, 10 000 ლარად ჩვენ შეგვეძლო შეგვეცვალა კინოთეატრის იატაკი ბავშვები, რომ ცვივდებიან შიგ, პირველ საბავშვო ბაღში გაგვეკეთებია სველი წერტილები, გადაგვეხადა ნისიად გაცემული წამლის ფული , მოვაკლოთ 5000 ლარი და დავამატოთ ანსამბლი უბისის ფესტივალზე გამგზავრების თანხასა სხვა.

**ლ. აბაშიძემ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტის დამტკიცების დროს მე დავაყენე წინადადება იმის შესახებ, რომ ვერტყვიჭალაში გვყავს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლი, ჩვენი ძალებით მოვაწყვეთ სკვერი ახლა ვითხოვ, რომ მოხდეს აღნიშნული სკვერის შემოღობვა და კეთილმოწყობა ისე ნუ გავაკეთებთ, რომ მხოლოდ დაბისთვის ვიკლავთ თავს და ჩვენ სოფლებს არაფერი არ გვჭირდება.

**ე. შველიძემ** , რომელმაც ეკას პოზიცია არ გაიზიარა და დასძინა, რომ მუზეუმში იგივე ბავშვის სულიერება იჭედება, ყველა ფესტივალზე წასვლაც არ არის აუცილებელი.
ა. მაჭავარიანმ აღნიშნა, რომ ისტორიული მუზეუმი არის ხარაგაულის თვალი და თუკი რაიმე სეგვიძლია უნდა დავეხმაროთ.

**ი. პაქსაშვილმა** აღნიშნა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ განათლება, კულტურა ჭირდება მარტო ხარაგაულს, ბორითსაც ჰყავს არაჩვეულებრივი ანსამბლი ფესტივალზეც დადიან და მშობლები ვალებს იღებენ, რომ ბავშვები გაუშვან ფესტივალებზე.

**მ. ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ როდესაც ვამტკიცებდით ბიუჯეტს კულტურისა და ხელოვნების ცენტრს თუ ჰქონდა გათვალისწინებული ფესტივალის თანხები, თითქმის ყოველ საბიუჯეტო ცვლილების დროს მას ვაძლევთ სუბსიდიას..სოფლის ანსამბლებსაც გამოუყოთ თანხები. მე მომხრე ვარ 5000 ლარით გაიზარდოს უბისის დაფინანსება.
ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ წერილი კომისიის სახელით ცატანილია 5000 ლარის დამატებაზე მერიაში.
**თ. ავალიშვილმა** აღნიშნა, რომ გვაქვს პრობლემები, 5000 ლარი არის დასამატებელი ანსამბლ „უბისი"-ზე. ცვლილება შემოტანილია და დღესვე განვიხილოთ ეს საკითხი.
ანსამბლ უბისის ხარჯების 5000 ლარით გაზრდას უმრავლესობის წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ.
სხდომაზე გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება მუნიციპალიტეტის მერთან საკითხის შეთანხმების მიზნით.
შესვენების დამთავრების შემდეგ

მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვ. გელაშვილმა გააკეტა განცხადება, რომ მიიღო თანხმობა მერისგან ანსამბლ უბისის ხარჯის 5000 ლარის დამატებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს შესთავაზა წინადადება საბიუჯეტო ცვლილების

მუხლობრივად კენჭის ყრის თაობაზე

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა გაიზარდა 111.6 ათ. ლარით,

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2019 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი სახსრების ნაშთიდან 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯებში მიმართული იქნას 27,5 ლარი, აქედან:

ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრს 24,5 ათასი ლარი ,
მათ შორის:
-მუზეუმის ახალი ექსპონატებისათვის საჭირო ბიუსტების და ჩარჩოებისათვის, ბიუსტების სადგამისა და საგამოფენო დარბაზის განათებისათვის 10,0 ათასი ლარი;

- ო. აბაშიძის სახ. თეატრის ლატვიის ქალაქ რიგის თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობისათვის 4,5 ათასი ლარი

-ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლ ,,უბისის" აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოში საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისათვის 10,0 ათასი ლარი;

კენჭისყრაზე დადგა საკითხიბაზალეთის ა/ერთეულის სოფლების წიფისა და ღარიხევის საერთო სასაფლაო ტერიტორიის შემოსაღობი მასალების შესაძენად 3,0 ათასი ლარი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

კენჭისყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად საჭიროა ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდიიდან 13,8 ათასი ლარი გადაეცეს სსიპ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს - ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამის დასაფინანსებლად მიმდინარე გრანტის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სალოტბარო სკოლაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებისათვის.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

კენჭისყრაზე დადგა საკითხი- გაიზარდოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის **2019** წლის ბიუჯეტის **შემოსულობები 13 423 561** ლარი **401 658** ლარით და განისაზღვროს **13 825 219**
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

კენჭისყრაზე დადგა საკითხი - გაიზარდოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის **2019** წლის ბიუჯეტის **გადასახდელები ლარი 17 859 775** ლარი **272 600** ლარით და განისაზღვროს **18 288 900** ლარით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

**მოისმინეს:.** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N12 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის).

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

**მოისმინეს:.**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N13 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის)

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

**მოისმინეს:.**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N14 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის)

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

**მოისმინეს:.**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხების კომისიის თავმჯდომარის მალხაზ ფხალაძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N15 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ " ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის)

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

**მოისმინეს:.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის** თავმჯდომარის გივი თხელიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N16 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის** თაობაზე (თან ერთვის)

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

**მოისმინეს:.ხარაგაულის** მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს #25 დადგენილებაში 'ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ცვლილების შეტანის** თაობაზე (თან ერთვის)

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

**მოისმინეს:.ხარაგაულის** მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის N4 დადგენილებაში „დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის** თაობაზე (თან ერთვის)

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა:** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა გარგაქაძე